ტოტალურ უსინათლოთა გამცილებლის მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) ტოტალურ (ნულოვანი მხედველობის) უსინათლთა უზრუნველყოფა გამცილებლის მომსახურებით.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი და პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1.„ტოტალურ უსინათლოთა გამცილებლის მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამის" მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და ესაჭიროებათ:

ა)ტოტალურ უსინათლოთა გადაადგილება გამცილებლის მეშვეობით: სამედიცინო დაწესებულებებში, საყოფაცხოვრებო დაწესებულებებში, სახელმწიფო დაწესებულებებში.

2. პროგრამით მოსარგებლეთა კრიტერიუმებთან შესაბამისობა და პროგრამაში მათი ჩართვის შესაძლებლობა განისაზღვრება „საქართველოს უსინათლოთა კავშირის მიერ მოწოდებულ ბაზებზე დაყრდნობით.

3.პროგრამით გათვალისწინებულია სავარაუდოდ 75 ბენეფიციარის დამცილებლით მომსახურება.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

გამცილებელით მომსახურება ხორციელდება მათი განცხადების, სატელეფონო ზარების საფუძველზე. მომსახურებას გაუწევს პროექტის (საქართველოს უსინათლოთა კავშირი) ოპერატორი. ტოტალური (ნულოვანი მხედველობის) უსინათლოს პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პასუხისმგებელი სამსახური „საქართველოს უსინათლოთა კავშირს“ წერილობით უგზავნის ბენეფიციარების სიას.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

1."ტოტალურ უსინათლოთა გამცილებლის მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა" დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი.

2."ტოტალურ უსინათლოთა გამცილებლის მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამის" ბიუჯეტი შეადგენს 7 400,00 შვიდიათას შვიდასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგი სახით:

ბიუჯეტი	7 400,00
I კვარტალი	1 850,00 ლარი
II კვარტალი	1 850,00 ლარი
III კვარტალი	1 850,00 ლარი
IV კვარტალი	1 850,00 ლარი

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) ტოტალურ (ნულოვანი მხედველობის) უსინათლთა უზრუნველყოფა გამცილებლის მომსახურებით.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი